მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი"-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N0-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე.

გამომდინარე იქედან, რომ ქონების მართვის სააგენტოს მიერ ვერ მოხდა ლოკაციების დროულად მოძიება, კომპანია ითხოვს 2019 წლის 22 მარტის ხელეკრულების 2.1.3 პუნქტში ცვლილებას. კერძოდ კომპანიამ ელექტროსატრნასპორტო დამტენების განთავსებიდან შესაბამისი სერვისის მიწოდება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნაცვლად 6 თვისა, ცხრა თვის ვადაში.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილ დანარჩენ საკითხებზე ისაუბრა ნინო კვეტენაძემ.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება. თბილისის ქონების აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც მთავრობის სახელით საკუთრებაში გადასცემს თბილისის ქონებას. გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო მოქმედი კანონმდებლობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით მისთვის მინიჭებული/დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ქონების განკარგვას,

შესაბამისად, მიზანშეწონილია, სწორედ სააგენტოს მიანიჭოს მთავრობამ უფლებამოსილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მთავრობის სახელით.

ასევე, მოქმედი დებულების შესაბამისად, სააგენტოს კომპეტენციას წარმოადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და 50%-მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული, მოქმედი კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებული, პროცედურების გატარება. არსებული რეგულაციებით, პროცედურების გატარებაში არ მოიაზრება სააგენტოს მხრიდან აღნიშნული ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. პროექტის თანახმად, რადგან სააგენტოს მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, უნდა შეეძლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების (როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ისე 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირების) ქონების აუქციონის გზით განკარგვა, მიზანშეწონილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების აუქციონის გზით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაც უშუალოდ სააგენტოს უფლებამოსილებად განისაზღვროს.პროექტის შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციებს ემატება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან (როგორც - უმრავი ქონების ერთ-ერთი თანამესაკუთრესთან) შეთანხმებას დაქვემდებარებული, უმრაეი ქონების მიმართ გათვალისწინებული მოქმედებებისას თანამესაკუთრის სახელით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და იმ შემთხვევაში, როდესაც უმრავი ნივთის (ქონების) მიმართ გათვალისწინებული მოქმედებები, იწვევენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული უმრავი ნივთის/ქონების შემცირებას ან გაუქმებას საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის შესათანხმებლად წარდგენა. პროექტის შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციებში აისახა კომპეტენციის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების მომზადება და ინვესტიციების მოზიდვა.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტი ითვალისწინებს სააგენტოში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებასაც. კერძოდ: სააგენტოს ხელმძღვანელობის მუხლში, განისაზღვრა, რომ სააგენტოს უფროს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელიც იმავდროულად იკავებს სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანამდებობას და რომელიც სააგენტოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევ აში ახორციელებს სააგენტოს უფროსის მოვალეობას. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების - სამსახურების შემადგენლობაში შემავალ ერთეულებს განყოფილების ნაცვლად ეწოდა - სამმართველო.,ასევე, იცვლება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენლობა და იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის ნაცვლად, იურიდიული სამსახური და საინვესტიციო პროექტების განვითარებისა და მართვის სამმართველო დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებად განისაზღვრება. ცვლილებები შედის ქონების მართვისა და განკარგვის სამმართველოს უფლებამოსილებებშიც.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილებები გამომდინარეობს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დებულების ცვლილებებიდან გამომდინარე.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ქ ობილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის), ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სააგენტოს დებულების ცვლილების პროექტის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება. სააგენტოსთვის მინიჭებული აღნიშნული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-106 დადგენილებაშიც და სააგენტოს მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე უნდა შეეძლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ქონების აუქციონის გზით პრივატიზების/რეალიზაციის ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ."

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის თანახმად, სააგენტო მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე შეძლებს აუქციონის ჩატარებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის).

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესი დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

წინამდებარე დადგენილების ცვლილებების პროეტიდან გამომდინარე, დადგენილებაში შედის ცვლილება და თანხმობის გაცემას დაქვემდებარებული ხაზობრივი ნაგებობების/სამუშაოების ჩამონათვალს ემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე კიბის მოწყობა და პანდუსის მოწყობა. თანხმობის გაცემის

დროს საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს ასევე, არქიტექტურის სამსახურის მიერ. დადგენილებით დამტკიცებულ წესში შედის ცვლილება და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით სწორი ფორმულირებით ყალიბდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სახელი. ასევე, რადგან ქალაქგეგმარებითი დასკვნების მომზადება ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის კომეტენციას წარმოადგენს, დებულების შესაბამისი მუხლები კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოდის

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონში, მე 12 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2359 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.084) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

სხვადასხვა კოოპერატივების წევრებს, 13 წევრს (ოჯახს) გადაეცათ 2359 კვმ მიწის ნაკვეთი, მათი მხრიდან მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქი თბილისი, გოთუას ქუჩა, №21-ის მიმდებარედ არსებული 358 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:№01.10.13.003.037) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე,

სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად გადაეცემა, ფაქტობრივად მის მფლობელობაში არსებული 358 კვმ მიწის ნაკვეთი, გოთუას ქუჩა №21-ის მიმდებარედ, შემდგომში სამრეკლოს მშენებლობის მიზნით. ნინო კვეტენაძის განმარტებით აღნიშნულ მისამართზე არის მოქმედი ტაძარი. საპრივატიზებო პირობაა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება მხოლოდ ,მომიჯნავედ აერსებულ საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შემთხვევაში.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გახსაზღვრული მოძრავი ქონების სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე.

ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტმა, ითხოვა „MERSEDES-BENZ 0345" მარკის ავტობუსის ნეკრესის ეპარქიისათვის გადაცემა.აღინიშნა, რომ ეპარქიაში არსებული ა(ა)იპ „წმ.ილია ,ართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიას", სადაც სწავლობს 228 მოსწავლე, ემსახურება 2 ავტობუსი , რომლებიც უკვე ამორტიზებულია. აუდუტორული შეფასებით მოძრავი ქონება (ავტობუსი) შეფასდა 35000 ლარად.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნია, ამოღებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით

დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) კაპიტალიდან მითითებული მოძრავი ქონება და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) კაპიტალი 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარით შემცირება.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, მელაანის მე V შესახვევის კორპუსი №20-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.08.037.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი ოქრიაშვილს, სიმბოლურ ფასად გადაეცემა ქალაქ თბილისში, მელაანის მე-V შესახვევის კორპუსი №20-ში, მეორე სართულზე 31,97 კვმ საცხოვრებელი ფართი. ისნის რაიონის გამგეობისა და შსს ისანი-სამგორის რაიონული სამმსართველოს წერილობითი ინფორმაციით პიროვნება აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 23 წელი და ოჯახი შედგება 4 სულისაგან.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 1082 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №72.16.21.898) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოქ. გურამ აბულაძემ სხვადასხვა დროს განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მისი ოჯახის წინაშე წარმოშობილი საცხოვრებელი პირობების პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით. განმცხადებელი და მისი ძმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან. გადაადგილდებიან მხოლოდ ელექტრო ეტლებით. გურამ აბულაძე აღნიშნავს, რომ ცხოვრობენ საცხოვრებელი კორპუსის მე-4 სართულზე, რის გამოც ეტლით დამოუკიდებლად გადაადგილებას ვერ ახერხებენ, ლიფტის შახტის მცირე გაბარიტების გამო. სადარბაზოს კიბეზე მოძრაობისას კი საჭიროებენ სხვა პირთა მხრიდან დახმარებას, რის გარეშეც ეტლების გადაადგილება შეუძლებელია. ამ გარემოებების გამო, ეს პირები განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან, სტიქიური უბედურების ან სხვა რაიმე სახის საგანგებო სიტუაციის დროს ევაკუაციის აუცილებლობის შემთხვევაში. აღნიშნული საკითხის განხილვა ასევე ითხოვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, გურამ აბულაძემ ითხოვა მიწის ნაკვეთის გადაცემა, სადაც აპირებს ააშენოს მისი და მისი ძმის მდგომარეობასთან და მოთხოვნებთან მორგებული სახლი, ბინის გაყიდვით მიღებული თანხით. ამ მიზნით შეირჩა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მისაღებად მიიჩნიეს შესაფერისი ადგილმდებარეობის და გარემო პირობების გათვალისწინებით, მათ საჭიროებებთან ადაპტაციის თვალსაზრისით. არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა მოქმედი ფუნქციური ზონის (რზ-2) შესაბამისად. ვინაიდან ამ ფუნქციურ ზონაში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება დასაშვებია, როგორც განაშენიანების საგამონაკლისო სახეობა, საკითხი დამატებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ეს პოზიცია განმცხადებელს ეცნობა და განემარტა, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მისთვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, შემდგომში მიწის ნაკვეთზე მათ მიერ დაგეგმილი სამშენებლო განვითარება საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მხრიდან განხილვას და შესაძლებელი გახდება მხოლოდ შეთანხმების შემთხვევაში. გურამ აბულაძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად - 1 ლარად.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის N311 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილი ცვლილებით, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში შეთანხმებული და შერჩეული ადგილებზე განთავსებული სს „თიბისი ბანკის“ ბანკომატების იჯარის მოქმედების ვადა იცვლება და განისაზღვრება 2020 წლის 20 ივნისამდე პერიოდით.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.031.055) პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ/ნ: 01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოქალაქე ლალი ჟღენტს 21 კვმ მიწის ნაკვეთი გადაეცემა აღნშნულ მისამართზე საგებლობის უფლების, იჯარით ხუთი წლის ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 3050 ლარი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ის მიმდებარედ 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.018.064) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფოტოპლაზა +“ისთვის (ს/ნ: 205028762) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „ფოტოპლაზა+“ს იჯარით გადაეცემა, პუშკინის ქუჩა №5-7-ის მიმდებარედ 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.018.064), ღია კაფის მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის საკუთრებაშია , პუშკინის ქუჩა №5-7-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053.01.507) არსებულ უძრავი ქონება. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა, 5 (ხუთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური 3 450 (სამი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ბიწაძისთვის (პ/ნ: 54001006993) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

ემზარ ბიწაძეს (პ/ნ: 54001006993) იჯარით გადაეცემა თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთი ღია კაფის მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ემზარ ბიწაძე

სარგებლობის უფლებით ფლობს თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი №27-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.002.01.525) არსებულ უძრავ ქონებას. მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის პერიოდი განისაზღვრა 2019 წლის 1 თებერვლამდე ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 1 800 ლარის ოდენობით.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიკა 93"-ისთვის (ს/ნ: 406077793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

შპს „ნიკა 93"-ი (ს/ნ: 406077793) ითხოვს ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქ. №1-ში მდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.20.024.959) იჯარით გადაცემას, მიმდებარე შენობაში არსებული, აღნიშნული კომპანიის და რადიმ მაილოვის საკუთრებაში არსებულ ფართებზე (ს/კ: №01.19.20.024.004.01.02.015; №01.19.20.024.004.01.02.014) კიბის მოსაწყობად, 10 წლით. წარმოდგენილია ფართების მესაკუთრეთა შესაბამისი პოზიცია.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 10 (ათი) წლით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.18.03.064.072) და ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.073) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ მანაშეროვისთვის (პ/ნ:01015003210) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მიხეილ მანაშეროვმა მოითხოვა თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს №01.18.03.064.072) და 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.064.073) იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. საჯ რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის სარგებლობაშია თბილისში, სამღებროს ქუჩა №21-ში მდებარ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.18.064.007.01.503). დაინტერესებაში არსებული 6კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიუ საიჯარო ქირა განისაზღვრა 1800 ლარით, 2024 წლის წლის 1 თებერვლამდე ვადით,

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №31-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.004.043) პირდაპირი განკარგვის წესით მოსლემ ბაბახანისთვის (პ/ნ: 01491032850) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოქალაქე მოსლემ ბაბახინს, რომელიც ფლობს აღნიშნული მისამართის მიმდებარედ ქონებას, იჯარით გადაეცენა 8 კვმ მიწის ნაკვეთი კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადაა 10 წელი. წლიური საიჯარი ქირა 960 ლარი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი №2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.04.018.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვბისთვის" (ს/ნ: 204446313) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

წინო კვეტენაძის განმარტებით, შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვბის" (ს/ნ: 204446313) დირექტორმა მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.018.030) იჯარით გადაცემა, გამწვანებისა და გასართობი მოედნის მოწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ იურიდიულ პირს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 15 წლის ვადით გადაეცა თბილისში, დოლაბაურის I ქუჩის და II ჩიხი №12-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთი (მიწის საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.082), დიაგნოსტიკური ცენტრისა და ოფისის მოწყობის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ იჯარის უფლების მქონე იურიდიული პირის მიერ ვერ სრულდება იჯარის ფორმით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობა, დამატებით ითხოვს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.018.030) იჯარით გადაცემა, გამწვანებისა და გასართობი მოედნის მოწყობის მიზნით. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილებას და მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით დაინტერესებული პირისთვის გადაცემას, 2026 წლის 28 მარტამდე ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 5 500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარი.
მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.15.05.046.014) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გესთისთვის" (ს/ნ: 405245471) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

შპს „გესთის" (ს/ნ: 405245471) იჯარით გადაეცემა „თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფის მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირი სარგებლობის უფლებით ფლობს თბილისში, რუსთაველის გამზირი №14-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.15.05.046.005.01.533) არსებულ უძრავ ქონებას. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით დაინტერესებული იურიდიული პირისთვის გადაეცემა, 2023 წლის 6 თებერვლამდე ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 3 250 ლარი.
მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი ბაქრაძე მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N6-ში მდებარე 679 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.022.118) გაცვლა ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.707). ამასთან, მზადაა, დაფაროს ფულადი კომპენსაცია. 2009 წელს ნაკვეთს მიენიჭა სარეკრეაციო სტატუსი, რის გამოც ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. მის მიერ წარმოდგენილია სასამართლოში შეტანილი სარჩელის საფუძველზე მიღებული, თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების ვენერალური გეგმა იმ ნაწილში, რომლითაც #01.13.01.022.117 და #01.13.01.022.118 საკადასტრო ერთეულებს მიენიჭა სარეკრეაციო ზონა 1-ის სტატუსი. განმცხადებლის პოზიციით, იგი ითვალისწინებს მოსახლეობის განწყობას და თანახმაა მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე. ირაკლი ბაქრაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, რომელიც ერთ-ერთ სარეკრეაციო სივრცედ განვითარების შესაძლებლობის მქონე ტერიტორიად მოიაზრება და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ღაინტერესების საგანს. დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში შესაძლოა ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს ტერიტორიაზე რეგისტრირებული კერძო საკუთრებების არსებობა. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ტერიტორიაზე მოხვედრილი კერძო ნაკვეთების მესაკუთრეთა წარმოდგენილი წინადადებების განხილვა.

მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით 2027 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.17.14.003.707) საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 14 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 332428 ლარის ოდენობით. რაც შეეხება N01.13.01.022.118 საკადასტრო ერთეულს, საბაზრო ღირებულება 2019 წლის 7 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 296 044 (ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებების გათვალისწინებით. ხოლო, საპრივატიზებო საფასურად განიხილება წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნებით ეროვნულ ვალუტაში მითითებულ თანხებს შორის სხვაობა.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი №01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ნინო კვეტენაძის განმარტებით, 36 ადამიანს (ოჯახს) გადაეცემა , მიხეილ გახოკიძის ქუჩა №26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი №01.19.19.004.078) არსებული 15803 კვ.მ. მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით. საპრივატიზებო პირობაა ზღვის უბნის დასახლება II მ/რ #204 და #205 კორპუსებში (საკ/კოდი: 01.12./15.001.004 ; #01.12.15.001.003) არსებული უმრავი ქონებაზე უარის თქმა ქონების შემძენთა მხრიდან და მათზე ყველა სახის მოთხოვნისა და უფლების დათმობა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა №13-ის შესახვევის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი №01.10.06.001.261) არსებული 16885 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ნინო კვეტენაძის განმარტებით, „მეტრომშენის“ დაზარალებულებს 64 ადამიანს გადაეცა 13000 კვმ მიწის ნკვეთი, ასევე დაკმაყოფილდა 16 კოოპერატივის დაუმთავრებული ბინათმშენებლობით დაზარალებული წევრი, რომელთაც გადაეცათ 3688 კვმ მიწის ნაკვეთი და 1196 კვმ თეთრი კარკასი.

მომხრე-8, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა